4:1

დიდი ხანია მოსკოველებს თბილისელთა ასეთი კარგი თამაში არ უნახავთ. პირველი წუთებიდანვე მასპინძელთა მოედნის ბატონ-პატრონები სტუმრები აღმოჩნდნენ. ტორპედოელების მხარეს იყო თოვლ-ჭყაპი, მოედანზე გაჩენილი ტბორებიცა და საკუთარი კედლებიც... მაგრამ დინამოელებმა ყველა ეს დაბრკოლება გადალახეს და მთელი თამაში შესანიშნავად ჩაატარეს.

პირველი ბურთი გავიდა თამაშის მერვე წუთზე, როცა მეტრეველი გაუსხლტა თავის მეურვეებს და კავაზაშვილთან პირისპირ დარჩენილმა ზუსტად დაარტყა კარში. 39-ე წუთზე კალოევმა ჩვეული ოსტატობით მიიღო მაღალი ბურთი და თავით გაგზავნა მეტოქის კარში - 2:0.

შესვენების შემდეგ ორი წუთიც არ იყო გასული, რომ ბარქაიას ძლიერი დარტყმის შედეგად ბურთი მოხვდა კარის ზედა ძელს. უკუქცეულ ბურთს მიუსწრო მესხმა და მისი თავური დარტყმით ანგარისი გაიზარდა 3:0-მდე. სამიოდე წუთის შემდეგ ბარქაიას დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა და ლუჟნიკების სტადიონის ტაბლოზე მოინიშნა 4:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

ყველას ეგონა, რომ თბილისელები "მშრალი" ანგარიშით წავიდოდნენ სველი მოედნიდან, მაგრამ თამაშის მე-80 წუთზე დანიშნული საჯარიმო ტორპედოელმა სერგეევმა კარგად გამოიყენა და ერთი ბურთი გაქვითა.

თბილისელებმა ისედაც სწრაფი ტემპი კიდევ უფრო გაზარდეს და კვლავ დაემუქრნენ ტორპედოელთა კარს. შეიქმნა კიდეც საგოლო მომენტი, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა. მატჩი დამთავრდა თბილისის დინამოელ ფეხბურთელთა გამარჯვებით - 4:1.

ზ. ჯაფარიძე, ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.
"ლელო", 24 ნოემბერი, 1963 წ.